



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 509/ს
13/12/2022

509-21-4-202212131058



**ქ. ქუთაისში შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“ მიერ სასარგებლო წიაღისეულის (ქვის)
გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №19-ში სასარგებლო წიაღისეულის (ქვის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

მიმდინარე წლის 5 აგვისტოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ნითეს“, ამჟამად შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“ კუთვნილი ქვის სახერხი საწარმოს ინსპექტირება. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საწარმო მოწყობილია 2022 წლის დასაწყისში, ხოლო ქვის ხერხვა კომპანიის მიერ დაწყებულ იქნა ივნისის თვიდან. ვინაიდან საწარმოში ქვის ხერხვა ხორციელდება სველი მეთოდით, შესაბამისად საქმიანობა არ ექვემდებარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის №42 დადგენილება) და შეთანხმებას. ამასთან, დათვალიერების ეტაპზე, საწარმოში არ იყო მოწყობილი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებისათვის საჭირო სამსხვრევი დანადგარი. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვის სამსხვრევი დანადგარის მოწყობა დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ 70 453 მ² ჯამური ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.06.03.319/08.501; 03.06.03.457) განთავსებულ ერთსართულიან, დახურულ შენობაში. შენობის ფართობი, სადაც მიმდინარეობს საწარმოს ტექნოლოგიური პროცესები შეადგენს 4 635 მ²-ს. GPS კოორდინატებია: X - 311502; Y - 4678491. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შენობაში განთავსებულია ქვის ხერხვა-გაპრიალებისთვის საჭირო ტექნოლოგიური ინვენტარი, სადაც მიმდინარეობს ტემპენიტის ქვის სველი მეთოდით ხერხვა-გაპრიალება. საწარმოში მიმდინარეობს წლიურად 6 000 მ³ ტემპენიტის ქვის დამუშავება, საიდანაც მიიღება 1 250 მ³ ფილა, 320 მ³ ბორდიური, 530 მ³ ქვაფენილი, 500 მ³ სხვადასხვა დეტალი. მიღებული პროდუქცია (ფილა, ქვაფენილი, ბორდიური) გამოყენებული იქნება დასახლებული პუნქტების გზებისა და ტროტუარების

მოსაპირკეთებლად. საწარმოში ქვის ხერხვა გაპრიალების შედეგად წარმოიქმნება ტემენიტის ქვის არასტანდარტული ჩამონაჭრელები და ნატეხები ჯამურად 3 000 მ³, რომლის გადამუშავების მიზნით შენობაში დაგეგმილია ქვის სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსება. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ობიექტის საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 220 მ-ით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. წყალწითელა საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 390 მ-ში მიედინება, ხოლო რიონჰესის სადერივაციო არხი დაშორებულია 135 მ-ით. საწარმოდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს ბეტონის ბოძების საამქრო, ხოლო 375 მეტრში - ბეტონის ნაგებობათა საამქრო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 2 მ³/სთ (ქვის ლოდის გადამუშავება). აღსანიშნავია, რომ საწარმოში ქვის ხერხვა-გაპრიალება მოხდება სველი მეთოდით, ხოლო მსხვრევის პროცესი იქნება მშრალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვის გადამამუშავებელი საწარმო იმუშავებს წელიწადში 250 დღე, 12 საათიანი სამუშაო გრაფიკით. დასაქმებული იქნება 20 ადამიანი. საწარმოში ნედლეულის შეტანისა და პროდუქციის გატანისთვის დღეში განხორციელდება დაახლოებით 6 სატრანსპორტო ოპერაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო აღჭურვილი იქნება სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაში შევა: მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი (ყბებიანი სამსხვრევი), სამგანყოფილებიანი მბრუნავი საცერი და მიღებული პროდუქციის სასაწყობო უბანი, რომელიც მდებარეობს შენობაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: ქვის ხერხვა-გაპრიალების საწარმოს სხვადასხვა უბანზე წარმოქმნილი ქვის ნატეხები ავტოტრანსპორტირების მეშვეობით მიეწოდება სამსხვრევის მკვებავ ბუკერს, საიდანაც მასალა გადავა ყბებიან სამსხვრევში. დამსხვრეული ქვა ღარის საშუალებით გადავა მბრუნავ დოლისებურ საცერში. მბრუნავი დოლის დიამეტრი იქნება: დასაწყისში - 1 მ, ბოლოში - 0,8 მ, ხოლო სიგრძე - 6 მ. მბრუნავ დოლზე დასაწყისში მოწყობილი იქნება 5 მმ-იანი ცხაური (სიგრძით 1,5 მ), შუაში 10 მმ-იანი (სიგრძით 2 მ.), ბოლოში 20 მმ-იანი (სიგრძით 2,5 მ). დოლი დახრილია ბოლოსაკენ. ბრუნვის პარალელურად დამსხვრეული მასალა გადაადგილდება დახრის მიმართულებით, ჩამოიყრება ცხაურების ზომის შესაბამისად, დოლის ქვეშ მოწყობილ ხაროებში. მსხვილი ზომის ნატეხები განთავსდება დოლის ბოლოში. მიღებული პროდუქცია მოთხოვნის შესაბამისად განთავსდება ტომრებში ან ნაყარის სახით გაიტანება საწარმოს ტერიტორიიდან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეოდ გამოყენებული იქნება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წყალსადენიდან მოწოდებული წყალი, ხოლო საწარმოო მიზნით წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ ქვის ხერხვა-გაპრიალების პროცესში. საწარმო ტექნიკური მიზნით გამოიყენებს ატმოსფერული ნალექების წყალს, რომლის შეკრებაც ხდება შენობის სარდაფში, ხოლო გვალვების დროს, როცა წყალი შრება, გამოიყენებს შენობის გარეთ, კომპანიის საკუთრებაში არსებულ, ლიცენზიის საფუძველზე მოპოვებულ მიწისქვეშა ჭაბურღილის წყალს. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 311526, Y - 4678518. საპროექტო წარმადობის შესაბამისად, საჭირო წყლის წლიური რაოდენობა ჯამურად შეადგენს 180 000 მ³-ს. ყველა სახერხ დაზგას, რომელზედაც მიმდინარეობს ქვის სველი წესით ხერხვა მოწყობილი აქვს

წყალშემკრები არხები, რომლებიც მიერთებულია საამქროს შიდა წყლის შემკრებ სისტემასთან. საწარმოში მოწყობილია წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა. ტექნოლოგიური მოედნებიდან წყალი ჯერ მიეწოდება სალექარს, ხოლო სალექარში გაწმენდის შემდეგ წყალი ტუმბოს მეშვეობით კვლავ უბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესს. ობიექტის მაქსიმალური წარმადობით ფუნქციონირების პირობებში, ასაღები წყლის ჯამური მოცულობა 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით წლიურად შეადგენს 18 000 მ³-ს (72 მ³/დღეში), საიდანაც დაახლოებით 14 000 მ³ მიღებული იქნება ატმოსფერული ნალექების წყლის შეგროვების შედეგად, ხოლო 4 000 მ³ - მიწისქვეშა ჭაბურღილიდან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰორიზონტალური ტიპის სალექარი განთავსებულია შენობის გარეთ, ჩრდილოეთ კედელთან. იგი წარმოადგენს ოთხგანყოფილებიან ბეტონის ნაგებობას (სიგრძე 32 მ, სიგანე 5 მ, სიღრმე 3.5 მ), რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 560 მ³-ს, საიდანაც მუშა მოცულობა არის 300 მ³. საპროექტო წარმადობა 100 მ³-ია, ხოლო წმენდის ეფექტურობა 90-95%. სალექარში წარმოქმნილი შლამის გაუწყლოება მოხდება სალექარის მიმდებარედ, შლამის ბაქანზე, ხოლო გაუწყლოების შემდგომ რეალიზაცია მოხდება ბლოკის მწარმოებლებზე, ასევე გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების წარმოებაში, ბეტონის ხსნარზე დასამატებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლების ბუნებრივი წყლის ობიექტში ჩაშვება გათვალისწინებული არ არის. როგორც აღინიშნა წყალი გამოიყენება ქვის ხერხვა-გაპრიალების დროს, რომელსაც ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა აქვს, ხოლო უშუალოდ სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარში ქვის დამუშავება მოხდება მშრალი მეთოდით.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების - არაორგანული მტვრის, აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის გამოყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ხდება არაორგანიზებულად, ღიობებიდან და ფანჯრებიდან. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში ტექნოლოგიური პროცესები მიმდინარეობს დახურულ შენობაში, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შენობის გარეთ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სახერხი დაზგები და სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი). საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად უახლოეს სახლამდე ხმაურის დონე იქნება 46,56 დბა. აღსანიშნავია, რომ ყველა ტექნოლოგიური დანადგარი განთავსებულია კაპიტალურ შენობაში, ასევე საწარმოს დასახლებული პუნქტის მიმართულებით ესაზღვრება ბეტონის კედლიანი შენობა, შესაბამისად, ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ძირითადად საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ

კონტეინერში და ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება ქუთაისის მუნიციპალური სამსახურის მიერ მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენებისთვის გამოყოფილი იქნება სათავსო, სადაც ნარჩენები შეგროვდება კონტეინერული სისტემით, ხოლო მათი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს. საწარმოს ტერიტორია განთავსებულია სამრეწველო ზონაში. ამასთან, ყველა ტექნოლოგიური დანადგარის განთავსება მოხდა შენობის შიგნით, შესაბამისად მცენარეთა საფარზე ან/და ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ქვის (სასარგებლო წიაღისეულის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა განხორციელდა ყოფილი ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ კაპიტალურ შენობაში. მის მოსაწყობად საჭირო არ არის სამშენებლო და მიწის საექსკავაციო სამუშაოები. განსახილველ ტერიტორიაზე შენარჩუნებული არ არის მიწის ნაყოფიერი ფენა. შენობის გარე ტერიტორია დაფარულია ღორღის ფენით, ხოლო ყველა ტექნოლოგიური პროცესი განთავსებულია შენობის შიგნით. შესაბამისად, ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს ბეტონის ბოძების, ხოლო 375 მეტრში - ბეტონის ნაგებობათა საამქროები. ორივე ობიექტი განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოო პროცესები მიმდინარეობს დახურულ შენობებში, შესაბამისად, საწარმოების ფუნქციონირების ეტაპზე, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქუთაისის ქვის ქარხანას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო